ხელშეკრულება №171
საქონლის შესყიდვების შესახებ

2023 წელი

ერთის მხრივ, **დმანისის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა რითეილი" (ს/ნ: 405408811), წარმოდგენილი გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი მსუბუქი ავტომობილების მიმართულებით ჟორა რუხაძის (მინდობილობა #72, გაცემული 01.04.2022წ) სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანისთვის (ა/მ „MITSUBISHI L200 სახ.N. **QZ 920 QQ** გამოშვების წელი 2021) საბურავის/პროდუქციის შეძენა (CPVკოდი 34300000) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. (შემდეგომში ,,საქონელი").
1.2. დაფინანსების წყარო - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, 2023 წლის სახსრები.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1440 (ერთი ათას ოთხასორმოცი) ლარს.**
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საბურავის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 და 5.3 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს ***დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შრომის უსაფრთხოების საკითხებში - ბექა ქრისტესიაშვილი.***
4.2 საბურავი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია – შპს „თეგეტა რითეილის" სერვისცენტრები.
5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
5.3. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამარი მოქმედებები). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2023 წლის 31 დეკემბრამდე.**

12. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	**შპს „თეგეტა რითეილი“**
	ს/ნ: 405408811
ს/ნ: 228928391 ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. №41 სახელმწიფო ხაზინა, კოდი – TRESGE22; ა/ა: GE24NB0330100200165022	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №129 ს.ს „თიბისი ბანკი“; ბ/კ TBCBGE22 ა/ა: GE48TB7241936020100007
მუნიციპალიტეტის მერი	გაყდივების დეპარტამენტის უფროსი მსუბუქი ავტომობილების მიმართულებით
DMANISI MUNICIPALITY Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY Date: 2023.07.27 11:47:11 +04'00'	Tegeta Retail LLC Digitally signed by Tegeta Retail LLC DN: cn=Tegeta Retail LLC, 2.5.4.97=NTRGE-405408811, o=•••••••••••••, c=GE Date: 2023.07.27 12:23:22 +04'00'
კობა მურადაშვილი	ჟორა რუხაძე
ბ.ა.	ბ.ა.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დმანისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 2023 წლის №171 ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი _____ **კობა მურადაშვილი**

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი Beka Kristesiashvili Digitally signed by Beka Kristesiashvili Date: 2023.07.28 10:37:08 +04'00' ---------- *ბექა ქრისტესიაშვილი*